

6.21 ✕ 481934 ✓ 01

1109 1 103 02769.

70121985♣3078134

✓7108 **10** 76123”1

10♣30908 261181 ✕

932 ✕ 871973 4613

8625 11645♦319

✓92402181102

TBILISI  
INTERNATIONAL  
FESTIVAL  
OF THEATRE

[www.tbilisiinternational.com](http://www.tbilisiinternational.com)



25-29 სექტემბერი - SEPTEMBER - 2018

ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი  
Tbilisi International Festival of Theatre is Initiated and Hosted by Tbilisi City Hall



## თბილისის მერია

ფესტივალის მხარდამჭერი  
Main Support by Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia



საპარტოვო განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა  
და სპორტის სამინისტრო

ოფიციალური მასპინძელი  
Official Host Hotel



ROOMS HOTELS  
— TBILISI —



ინიციატორები, მასპინძლები, პარტნიორები და მეგობრები - ყველა იმსახურებს ჩვენს გულითად მადლობას. მათ გარეშე ფესტივალი ვერ შედგებოდა!

Founders, Partners and Festival Friends – All deserve our greatest thanks!  
Without their support The Festival would not have been possible!

ფესტივალის მეგობრები დაარსების დღიდან | Partners and Friends since establishment



საერთაშორისო პროგრამის და პროექტების პარტნიორები | International Program and Projects Partners



ფესტივალის პარტნიორები | Festival Partners



საინფორმაციო მხარდაჭერა | Media Support



ფესტივალის მასპინძელი | Festival Host



ინტერნეტ პარტნიორები | Internet Partners



ფესტივალის კლუბი | Festival Club



**მაკა (მარინე) ვასაძე**  
თეატრალური კრიტიკოსი,  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

წელს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი იუბილარია. 14-დან 29 სექტემბრის ჩათვლით, თბილისელი მაყურებელი თუ უცხოელი სტუმრები უკვე მეათედ გახდებიან თეატრალური ზეიმის მონაწილეები. განვლილი 9 წლის განმავლობაში საერთაშორისო და ქართულმა პროგრამებმა იმდენად გაითქვეს სახელი, რომ დღეს ფესტივალს მსოფლიო საფესტივალო რუკაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილს იკავებს. კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ფესტივალებს შორის კი ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია დაიმკვიდრა. მისი მიზანია საერთაშორისო სათეატრო სივრცეში მიმდინარე მოვლენების ასახვა და წარმოჩენა. ფესტივალის დირექტორისა და საორგანიზაციო გუნდის წყალობით, საერთაშორისო და ქართული პროგრამები წლიდან წლამდე იხვეწება და ახალ გამოწვევებს გვთავაზობენ. საერთაშორისო პროგრამა ორიენტირებულია სხვადასხვა ჟანრის, სტილისტიკის, თანამედროვე თეატრალური ძიებებისა და მიმართულებების წარმოდგენებზე. ქართული სპექტაკლების პროგრამა - Georgian Showcase თეატრალური ფესტივალის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მისი წყალობით, 500-ზე მეტმა უცხოელმა სტუმარმა, სხვადასხვა ფესტივალის: დირექტორებმა, პროდუსერებმა, კრიტიკოსებმა, რეჟისორებმა, ექსპერტებმა, 350-ზე მეტი სპექტაკლი იხილეს და შეაფასეს. 2018-ში, განვლილი ქართული თეატრალური სეზონის სპექტაკლებსა და ახალი სეზონის პრემიერებს 50-ზე მეტი

სტუმარი ნახავს. უკვე რამდენიმე წელია, ქართველი კრიტიკოსები, ქართული პროგრამით დაინტერესებული უცხოელი ექსპერტებისთვის, ქართულ შოუქეისში მონაწილე, წარმოდგენების, რაოდენობრივად საკმაოდ დიდი ნუსხიდან რეკომენდებული სპექტაკლების მოკლე ნუსხას ვაკეთებთ. რომლითაც, უპირველეს ყოვლისა, ვცდილობთ, ქართული თეატრი ფართო სპექტრით წარმოვაჩინოთ. წელსაც, ამ სიის შედგენისას, ვეცადეთ საქართველოს თეატრებში შექმნილი პროდუქციიდან საუკეთესო-ები - მნიშვნელოვანი და მიმზიდველი აგვეჩრია. ძირითადი მიმართულებებისა და ტენდენციების ამსახველი ისეთი სპექტაკლები, რომლებიც ქართული თეატრალური სეზონის სახეს ქმნიან. გავითვალისწინეთ დრამატურგიული ნაწარმოებების მრავალფეროვნება: ქართული და უცხოური თანამედროვე თუ კლასიკური პიესები.

წლევანდელ რეკომენდებულ სპექტაკლთა შორის სხვადასხვა ჟანრსა და სტილისტიკაში განხორციელებული, სხვადასხვა თაობის ქართველ რეჟისორთა 7 წარმოდგენა შევიდა. თუმცა, იმის გამო, რომ რუსთაველის თეატრი სექტემბრის ბოლოს საგასტროლოდ მიემგზავრება, მაესტრო რობერტ სტურუას დადგმას - „ვანო და ნიკო“ - უცხოელი სტუმრები ვეღარ ნახავენ. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, შერჩეული ექვსი დადგმით, სტუმრებს გარკვეული შთაბეჭდილება შეექმნებათ 2017-2018 წლების ქართულ თეატრალურ სეზონზე.

რეკომენდებულთა შორისაა: საქართველოსა თუ უცხოეთში კარგად ცნობილ რეჟისორ დავით დოიაშვილის თანამედროვედ გააზრებული მოლიერის „ტარტიუფი“ - მუსიკისა და დრამის თეატრში; ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის „ახალ სცენაზე“, გიორგი სიხარულიძის განხორციელებული „ედით პიაფი“, თანამედროვე ქართველ დრამატურგ ნინო სადღობელაშვილის პიესის მიხედვით; ვანო ხუციშვილის, „თავისუფალი თეატრის“ სცენაზე დადგმული, სარტრის „ალტონელი განდევნილები“ (რომელშიც რეჟისორმა პიესაში ასახული პრობლემები თანამედროვე პრობლემეტიკას მიუსადაგა);

მიხეილ თუმანიშვილის თეატრში წარმოდგენილი, ახალგაზრდა რეჟისორ ირაკლი გურგენიძისა და ქორეოგრაფ კობა შონიას, ტანგოს ენით მოთხრობილი ერთსაათიანი, ერთობ ორიგინალური სანახაობა, ტანგო/ქორეოდრამა „როცა ქვეყანა დიდია“; ილიაუნის თეატრში დებიუტანტ რეჟისორ საბა ასლამაზიშვილის დადგმული - „მარატ/სადი“, რომელიც პეტერ ვაისის ცნობილი პიესის საინტერესო ინტერპრეტაციაა; მუდმივად ახალი სათეატრო ფორმებისა თუ თემების კვლევასა და ძიებაში მყოფ ახალგაზრდა რეჟისორ მიხეილ ჩარკვიანის, სამეფო უბნის თეატრში წარმოდგენილი „დემონები“, რომელიც თანამედროვე შვედ დრამატურგ ლარს ნურენის ნაწარმოების მიხედვით, ქართულ სათეატრო სივრცეში პირველად განხორციელდა.

ქართული სპექტაკლების პროგრამაში რამდენიმე პრემიერაცაა: გიორგი სიხარულიძის „დედა კურაჟი და მისი შვილები“ - ასევე ბრეხტის მიხედვით; ნიკოლოზ საბაშვილის თოჯინური სპექტაკლი - გოგოლის „შინელის“ ინტერპრეტაცია; ახალგაზრდა რეჟისორ ავთანდილ დიასამაძისა და დრამატურგ ალექს ჩიღვინაძის დამოუკიდებელი პროექტი „მინა თავისას მოითხოვს“.

წლევანდელ Georgian Showcase-ზე კიდევ ერთი დამოუკიდებელი ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანების - „ლია სივრცე ექსპერიმენტული ხელოვნებისთვის“ - საკუთარი შენობის პრეზენტაცია მოხდება. ახალ სივრცეში ორი პრემიერის ჩვენებაა დაგეგმილი: დავით ხორბალაძის „ლაშა-გიორგი ისრულეს ოცნებას“ და მიხეილ ჩარკვიანის „პასპორტი“.

იმედია, წლევანდელი ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამის შედეგად შეიქმნება ახალი კო პროდუქციები, ჩვენ თეატრებს სხვადასხვა ფესტივალსა თუ გასტროლოზე მიიწვევენ, ხოლო მსოფლიო სათეატრო სივრცეში სხვებთან ერთად ახალგაზრდა ქართველ რეჟისორთა ახალი სახელები გახდება ცნობილი.

**MAKA (MARINE) VASADZE**  
Theatre critic, Associated professor,  
Ph.D (Art Studies)

The Tbilisi International Theatre Festival will draw theatre lovers for the 10th time this year from 14 to 29 September to celebrate the magic of the theatre. The Festival seeks to showcase and highlight the tendencies underlying international theatrical scene. The high profile it has earned among Georgian and its foreign guest audiences alike has secured the Festival an important position in the world festival map while enjoying one of the leading positions among the Caucasian and Eastern European festivals.

Year by year the Festival director and organizers offer increasingly elaborate Georgian and International programmes across the genres and styles to cover the modern theatrical discourse.

Georgian Showcase \_\_ the Georgian programme of the Festival, bears a special significance in that it highlights and introduces Georgian productions to the international audience. Throughout the Festival's life some 500 foreign festival guests, producers and directors, theatre critics and experts have seen and reviewed over 350 local productions. In order to help over 50 foreign guests of the 2018 Festival to take in the contemporary Georgian theatre, theatre critics have shortlisted plays from all Georgian Showcase productions of the last theatrical season. The recommendatory list seeks to best highlight the Georgian theatrical productions across the spectrum and offer the most significant and appealing ones by local and international modern and classical authors.

7 productions by Georgian directors have entered this year's list. However, one of them, Vano and Niko by maestro Robert Sturua won't be available for the spectators as the Rustaveli Theatre will be touring with the production abroad. This, in a hopeful manner, will not dampen the festive mood and give the foreign guests a reasonable picture of the last theatrical season in Georgia.

Other shortlisted plays include: Tartuffe, a modern rendition from Music and Drama Theatre by a celebrated stage director David Doiashvili; Edith Piaf by Giyorgi Sikharulidze based on a play by a contemporary Georgian playwright Nino Sadghobelashvili and staged in the Batumi State Theatre; The Condemned of Altona at the Free Theatre in which the director Vano Khutsishvili references the issues raised in the Juan-Paul Sartre's play to the modern life; When the World is Vast, an hour-long original show narrated through the language of tango by a young director Irakli Gurgenzidze and choreographer Koba Shonia in the Tumanishvili Theatre; Marat/Sade, an interesting rendition of Peter Weiss's play at Iliani Theatre by a debutant director Saba Aslamazishvili; Demons, the first ever production of the contemporary Swedish

playwright Lars Noren's play in Georgia by a young director Mikheil Charkviani who constantly tries out new ways of expression.

The Georgian programme of the Festival also features premiers: B. Brecht's Mother Courage and Her Children by Giyorgi Sikharulidze; Nikolai Gogol's The Overcoat, a puppet play by Nikoloz Sabashvili and Soil Calls an independent project by a young director Avtandil Diasamidze and a dramaturge Alex Chighvinadze.

The Festival's Georgian Showcase this year will see the presentation of the new premises of Open Space for Experimental Art - a youth artistic union. The union will present two premiers in their new building: Davit Khorbaladze's Lasha-Giyorgi Meets His Dreams and Mikhael Charkviani's Passport.

It's hoped that Festival's Georgian Programme will foster interest in the Georgian theatrical scene and encourage co-productions by involving Georgian directors and actors into a broader international theatrical discourse.



## თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

### თეატრის შესახებ:

თბილისის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი 1926 წელს დაარსდა. წლების განმავლობაში თეატრის რეპერტუარი შედგებოდა მხოლოდ მუსიკალური კომედიებისაგან. ამ თეატრში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი რეჟისორები და მსახიობები, კომპოზიტორები და დრამატურგები, მხატვრები და ქორეოგრაფები. თეატრის პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა და ის ქართული თეატრალური და მუსიკალური კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა.

2004 წლიდან, მას შემდეგ რაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით დოიაშვილი გახდა, ჩატარდა რეფორმები და შეიქმნა სინთეზური ხასიათის თეატრი, რომელმაც თავის რეპერტუარში ჩართო სხვადასხვა, რადიკალურად განსხვავებული ჟანრის სპექტაკლები. ეს არის თეატრი, რომელიც ორიენტირებულია ხარისხიან დრამატურგიაზე, ახალგაზრდა ნიჭიერ რეჟისორებზე და თავად ხელმძღვანელის დავით დოიაშვილის შემოქმედებასა და სურვილზე გვესაუბროს ხელოვნების ენით, ცვალოს ფორმები, იფიქროს შერეული ხერხებით, ოსტატურად ამუშაოს მსახიობები.

დღეს თბილისის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი ერთ-ერთი ინოვაციური და წარმატებული თეატრია ჩვენს ქვეყანაში. მუდმივად იზრდება თეატრის მნიშვნელოვანი ჯილდოებისა და პრიზების რაოდენობა, ასევე მისი საერთაშორისო აღიარება და სახელი.

---

## TBILISI VASO ABASHIDZE MUSICAL COMEDY AND DRAMA PROFESSIONAL STATE THEATRE

### ABOUT THEATRE:

Tbilisi Music and Drama State Theatre was founded in 1926. The Theatre repertoire consisted of only musical comedies for decades. A lot of famous Georgian directors and actors, composers and playwrights, artists and choreographers worked for the Theatre, that was one of the most important part of Georgian theatre and musical culture.

In 2004 theatre director David Doiashvili, one of the leaders of new generation becomes the head of the company. All fundamental reforms throughout the theatre are connected with his name. Experimental fusion of genres including drama, opera, musical comedy, musical drama, choreography, literary performance appears in the repertoire of the theatre. Tbilisi Music and Drama State Theatre is focused on the quality of new dramaturgy and young talented directors; the image of theatre is the creative work of the artistic director David Doiashvili and his desire to talk about the diversity of theatre language and forms, mixed methods and endless abilities of actors skills.

Today Tbilisi Music and Drama State Theatre is one of the innovative and successful theatres in our country. The number of significant awards and prizes of the theatre is constantly increasing, as well as its international recognition and name.



# მოლიერი ტარტიუფი

რეჟისორი – დავით დოიაშვილი  
სცენოგრაფია დავით დოიაშვილის  
კოსტიუმების მხატვარი – ანანო მოსიძე  
ქორეოგრაფი – კონსტანტინე ფურცელაძე  
რეჟისორის თანაშემწე – ნინო ჭავჭავაძე

პრემიერის თარიღი: 05.05.2018  
ხანგრძლივობა: 170 წუთი, ერთი შესვენებით  
საგასტროლო ჯგუფი: 15 ადამიანი

მონაწილეობენ: ნინო გომართელი, ტატო ჩახუნაშვილი, ეკა დემეტრაძე, ჯეჯი სხირტლაძე, ანა წერეთელი,  
შაკო მირიანაშვილი, გიგი ქარსელაძე, გიორგი ბახუტაშვილი, ნატა ბერეჟიანი

## წარმოდგენის შესახებ:

17-ე საუკუნის საფრანგეთი თუ 21-ე საუკუნის საქართველო?!  
ეკლესიის მოძღვარი თუ ოჯახის ფსიქოლოგი?!  
ფორმალური მეფე თუ არაფორმალური მმართველი?!  
აღსარება თუ ქვეცნობიერი?!  
ეს ყველაფერი ერთი ხდება, როცა კარს უღებ ერთს და ეს ერთი – ტარტიუფია!  
ტარტიუფი, რომელიც შვილივით უყვარს დედაშენს! შენ ბედნიერი ხარ!  
ტარტიუფი, რომელიც მეგობრის სტატუსით გართმევს ცოლს, შვილს!  
შენ უფრო ბედნიერი ხარ!  
ტარტიუფი, რომელიც ერთგულების სახელით გადატობს! შენი სევბედნიერი ხარ!  
ტარტიუფი, რომელიც მფლობელის სტატუსით გართმევს ყველაფერს!  
შენ ფხიზლდები და ამბობ, რომ ბრმა იყავი!  
და მეც – ტარტიუფს, მაინტერესებს, სინამდვილეში ბრმა იყავი თუ ბედნიერი?!  
იქნებ შენ ხარ ტარტიუფი და მე – შენ?!  
იქნებ ყველა ტარტიუფია – დედაშენი, შენი ცოლი, შვილები, შენი სიძე, მეფე – ირგვლივ ყველა?!  
და თუ ყველა ტარტიუფია, მაშინ ვინ არის ის – ნამდვილი ტარტიუფი?!

ჰო, მართალი ხარ! ის მოლიერის ტარტიუფია – ჩვენი წინაპარი!

## რეკომენდაცია:

რეჟისორ დავით დოიაშვილის ნებისმიერი „გაბაასება“ კლასიკურ დრამატურგიასთან, თითქოს კარგად ნაცნობი ტექსტების ცვეთამდედგობის ერთგვარი შემოწმება და რევიზიაა. შესაბამისად, როდესაც დოიაშვილი შექსპირის, მოლიერის, ან ჩეხოვის დრამატურგიას მიმართავს, ყოველთვის ითვალისწინებს სად, ვისთვის და რატომ დგამს პიესას და შესაბამისად, ცვლის კონტექსტსაც და კონტენტსაც. ასე იყო „მაკბეტისა“ და „ზაფხულის დამის სიზმარის“ შემთხვევაში და ასეა ახლაც, როცა მოლიერის ტექსტი რეჟისორის უკიდველურ ფანტაზიის „ხორცსაკვებ მანქანაში“, დაუნდობელ, სატირულ, სექსუალურ და სოციალურ დრამად ტრანსფორმირდება.

„ტარტიუფი“ რეჟისორის ინტერპეტაციით, გაცილებით მძაფრი, სარკასტული და სოციალურია, ვიდრე მხოლოდ მახვილგონივრული და პოეტური ირონიით გამოირჩეული. ფარისევლობის მხილება და რწმენის ტოტალური მსხვრევა დრამატული და ფსიქოლოგიური დეტალებითაა

გამძაფრებული, ხოლო პიესის ჰეტერონორმატიული სექსუალური აქცენტები - აშკარად შეცვლილი და „გამრავალფეროვნებული“.

დავით ბუხრიკიძე,  
ხელოვნებათმცოდნე

## საკონტაქტო ინფორმაცია:

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:  
დავით დოიაშვილი  
საკონტაქტო პირი: სოფო ლილუაშვილი  
ტელ: (+995) 595411511  
E-mail: sofia@musictheatre.ge  
sofiailuashvili@gmail.com  
[www.musictheatre.ge](http://www.musictheatre.ge)

Moliere  
**TARTUFFE**

Director: David Doiashvili  
Scenography by David Doiashvili  
Costume Designer: Anano Mosidze  
Choreography by Konstantine Purceladze  
Assistant to director: Nino Chavchacadze

Date of Premire: 05.05.2018  
Duration: 170 minutes, with one intermission  
The tour group: 15 person

The Cast: Nino Gomarteli, TaTo Chakhunashvili, Eka Demetradze, Jeji Skhirtladze, Ana Tsereteli,  
Shako Mirianashvili, Gigi Qarseladze, George Bakhutashvili, Nata Berejiani

**ABOUT PERFORMANCE:**

17th century France or 21st century Georgia?!

Priest of the church or the family psychologist?!

Formal or informal ruler?!

Confession or subcognitive?

All these becomes one when you open a door to someone and this someone is Tartuffee!

Tartuffee, who is beloved by your mother as her own son! You are happy!

Tartuffee, who takes away your wife and the child in a name of a true friend. You are even more happy!

Tartuffee, who betrays in a name of loyalty! You are still happy!

Tartuffee, who takes away everything in a name of owner ! You wake up and say, 'I was blind!'

And me - Tartuffee, I wonder if you were blind or just happy?!

Maybe you are Tartuffee and I am – you !  
Maybe all are Tartuffee - the mother, your wife, the children, your brother- in- law, the King - everyone around?

And if all are Tartuffee, then who is the real Tartuffee?

- Yes, you're right! He is Molière's Tartuffee - our ancestor!

**RECOMMENDATION:**

Every time Davit Doiashvili turns to classical dramaturgy it is like checking the durability of the enduring texts. Thus by keeping his target audience in mind while working on Shakespeare, Mollier or Chekhov he alters and adapts both context and content of the text accordingly.

This was the case with his Macbeth and Midsummer Night's Dream and so it continues with Tartuffe, where he thrusts Molliers's text into the "meatgrinder" of his bottomless imagination to be transformed into a ruthless, satirical, sexual and social drama.

His Tartuffe transcends the boundaries of witty and poetically ironic and emerges charged with sarcasm and social tension. His exposition of hypocracy and total destruction of faith is intensified with dramatic and psychological details while the heteronormativity of sexual accents shift towards more diverse.

Davit Bukhrikidze, art critic

**CONTACT INFORMATION:**

Theater art director: David Doiashvili

Contact person: Sopo Lituashvili

Tel: (+995) 595411511

E-mail: sofia@musictheatre.ge

sofialituashvili@gmail.com

**www.musictheatre.ge**







## რეზო გაბრიაძის თეატრი

### ქართული სპექტაკლების პროგრამის განსაკუთრებული სტუმარი!

#### თეატრის შესახებ:

1981 წელს რეზო გაბრიაძემ ქალაქ თბილისის ისტორიულ უბანში დააარსა მარიონეტული ჟანრის დრამატული თეატრი. რეზო გაბრიაძე ცნობილია, როგორც სცენარისტი, რეჟისორი, სკულპტორი, მხატვარი. მისი ავტორობით დაიდგა სპექტაკლები „ალფრედი და ვიოლეტა“, „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“, „ტრაპეზუნდის იმპერატორის ქალიშვილი“, „სტალინგრადი“, „რამონა“, „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“.

1981 წლიდან „გაბრიაძის თეატრი“ დიდი წარმატებით გამოდის სხვადასხვა ქვეყნის თეატრალურ სცენებზე, მონაწილეობს მსოფლიოს ბევრ თეატრალურ ფესტივალზე. თეატრმა სპექტაკლები გამართა: ავინიოში, ედინბურგში, ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, ტორონტოში, ბელგრადში, ჩარლსტონში, დრეზდენში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში.

## REZO GABRIADZE THEATRE

### SPECIALLY FOR GEORGIAN SHOWCASE!

#### ABOUT THEATRE:

The Gabriadze Theater is founded in 1981 by world- famous artist, director, screenwriter and painter Rezo Gabriadze. (whose awards include Commander of the Order of Arts and Letters of the French Republic – France’s highest recognition for cultural achievements.)

Theater stands in the heart of Tbilisi’s historic Old Town. This beautiful building of the unique marionette theatre was designed by Gabriadze himself.

Though modest in size (only 80 places), The Gabriadze Theater is among the world’s preeminent cultural institutions. Presenting mature puppet performances full of depth and meaning, it has gained the respect and recognition of international audiences and critics alike.

The Gabriadze Theater has toured extensively, its recent venues including: Lincoln Center Festival in New York; The Edinburgh Festival; Bogota Theater Festival; San Sebastian Festival, Spain; Toronto World Stage Festival; The Barbican Center, London; Theater de la Ville, Paris; The Kennedy Center Festival, Washington, D.C.;

Among the shows in its current repertoire are: “The Autumn of My Spring”, “The Battle of Stalingrad”, “Ramona”, “Diamond of Marshal de Fant’e”.



# რამონა

სცენარის ავტორი, რეჟისორი, კომპოზიტორი და მხატვარი - რეზო გაბრიაძე

პრემიერის თარიღი: 08.01.2013  
ხანგრძლივობა: 65 წუთი, შესვენების გარეშე  
საგასტროლო ჯგუფი: 11 ადამიანი

როლებს ახმოვანებენ: ნინო კასრაძე, ზაზა პაპუაშვილი, ალექსეი კოლგანი, რომან კარცევი, რუსუდან ბოლქვაძე, ნინო არსენიშვილი, რუსლან მიქაბერიძე, რეზო თავართქილაძე, ნანა შონია, დენის სურნოვი, დავით დვალიშვილი, ბადრი გვაზავა

ანიმატორები: თამარ ამირეჯიბი, ბადრი გვაზავა, ირაკლი შარაშიძე, ვლადიმერ მელცერი, ანა ნიჟარაძე, ნინო საჭაია

## წარმოდგენის შესახებ:

კიპლინგს ეკუთვნის ერთი შთამაგონებელი ფრაზა: „ლოკომოტივი ადამიანის ყველაზე მგრძობიარე ქმნილებაა!“

ჩემს მეხსიერებაში უეცრად გაიღვიძა ერთმა თბილმა და მივიწყებულმა სიტყვამ: ორთქლმავალი! ეს არსება ორთქლის დრუბლებით სუნთქავდა, ხრინწიანი საყვირით გვეხმიანებოდა და ნესტიან ამინდშიც ქვანახშირის მშრალი სუნი ასდიოდა. ორთქლმავლის ხსენებამ კიდევ ერთ ბედნიერ მოგონებასთან მიმიყვანა – მოხეტიალე ცირკი, ჩემი ბავშვობის შაპიტო, რომელშიც ბრეზენტის, ნახერხის და ნეხვის სუნი ტრიალებდა. ასე შეხვდა ერთმანეთს ეს ორი საყვარელი და სამუდამოდ ჩავლილი სახე-მოტივი: ორთქლმავალი და შაპიტო! მინდოდა მაყურებლისთვის გამეზიარებინა შეგრძნება სამოთხისა, რომელშიც დაუმსახურებლად აღმოვჩნდი და საიდანაც ცხოვრებამ გამომაძევა...

რეზო გაბრიაძე

„რამონა“ – ორი ორთქლმავლის სიყვარულის ისტორიაა. პიესის მოქმედება დიდი სამამულო ომის შემდგომ, რკინიგზის სადგურ „რიონში“ ვითარდება. მძლავრი ორთქლმავალი ერმონი სამსახურებრივი მივლინებით მიემგზავრება შორეულ მხარეში „ხუთწლედის ოთხწლედში დასასრულებლად“. სამანევრო რამონა კი რკინიგზის პატარა სადგურში რჩება და ქმარს ელოდება. მისი დღეები მოგონებებითა და მონატრებითაა სავსე. თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე გრძელდება ეს განშორება და ახალი განსაცდელი მოაქვს გმირებისათვის. რამონას ცხოვრება სამუდამოდ იცვლება, როცა ქალაქში მოხეტიალე ცირკი შაპიტო გამოჩნდება. განშორებული შეყვარებულები ისევ შეხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ როგორი იქნება ეს შეხვედრა და რა გარემოებებში, მაყურებლისათვის სპექტაკლის უკანასკნელ წუთებამდე გამოცანად რჩება.

## საკონტაქტო ინფორმაცია:

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:  
რეზო გაბრიაძე  
საკონტაქტო ინფორმაცია:  
ტელ: + 995 322 986 589  
E-mail: gabriadzetheatre@yahoo.com



# RAMONA

Playwright, director, composer and painter – Rezo Gabriadze

Date of Premire: 08.01.2013  
Duration: 65 minutes, without intermission  
The tour group: 11 person

The Cast: Nino Kasradze, Zaza Papuashvili, Alexei Kolgan, Roman Karzev, Rusudan Bolkvadze, Zaza Papuashvili, Nino Arsenishvili, Ruslan Mikaveridze, Rezo Tavartkiladze, Nana Shonia, Denis Surnov, David Dvalishvili. Badri Gvazava

Animators: Tamar Amirejibi, Badri Gvazava, Irakli Sharashidze, Vladimer Melzer, Anna Nizharadze, Nino Sajaia

## ABOUT PERFORMANCE:

Kipling once came up with an inspiring phrase: “Locomotive is the most sensitive creation of man”.

In my memory there awoke a long-forgotten and warm word: locomotive. This creature breathed in steam clouds, greeted us in its harsh voice and smelled of dry coal in wet weather. The reminiscence suddenly invoked another happy memory – a stray circus \_\_ the Shapito of my childhood, smelling of tarpaulin, sawdust and manure. This was how these two beloved images met: locomotive and Shapito. Through them I wanted to share the sense of undeserved heaven I found myself in and where I was ousted from by the life.

Ramona is a story of love of two locomotives. The play is set in Rioni Station after the World War II. Ermon, a robust locomotive is sent on a business trip to a remote place with the aim of completing the Soviet-time 5-year plan in 4 years. A shunting locomotive, Ramona stays back in a small railway station and waits for her husband missing him painfully. Her existence is filled with memories. Years pass. The characters gradually head into trouble. Ramona’s life changes with the arrival of a stray circus – Shapito. The lovers meet again but what are the circumstances? The audience only learns the answer with the twist in the finale.

## CONTACT INFORMATION:

Artistic Director: Rezo Gabriadze  
Contact Information:  
Tel: + 995 322 986 589  
E-mail: gabriadzetheatre@yahoo.com





## მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

თეატრის შესახებ:

„ჩვენ მოვედით, რომ ყველაფერი შეგვეცვალა“ - მიხეილ თუმანიშვილი

1975 წელს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზაზე შეიქმნა და 1978 წელს ოფიციალურად გაიხსნა თეატრალური სახელოს-  
ნო - კინომსახიობთა თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი უბრწყინვალესი რეფორმატორი რეჟისორი და უნიკალური  
პედაგოგი მიხეილ თუმანიშვილი იყო, ხოლო ძირითადი ბირთვი კი „თუმანიშვილის სკოლის“ მოწაფეები, ექსპერიმენტული ჯგუფის  
სტუდენტები - რეჟისორები და მსახიობები.

„ჩვენს სცენას არა აქვს კულისები, არა აქვს ფარდა, როგორც ეს თეატრ „გლობუსში“ იყო. ავდივართ ცარიელ ფიცარნაგზე, როგორც  
ეშაფოტზე. ვინვით, ვცდილობთ ვიკაშკაშოთ და ბოლომდე დავინვათ.“ (მიხეილ თუმანიშვილი, 1994 წ. ლონდონი, შექსპირის  
საერთაშორისო ფესტივალი). თეატრის რეპერტუარი მუდამ ივსებოდა არაჩვეულებრივი სპექტაკლებით, იყო ბევრი გასტროლი,  
საერთაშორისო ფესტივალები და დიდი წარმატება. რაც მთავარია, ეს მცირე ფორმის სტუდიური თეატრი მუდამ უყვარდა,  
სჭირდებოდა და ეამაყებოდა ქართველ მაყურებელს. 1996 წელს მიხეილ თუმანიშვილი გარდაიცვალა და კინომსახიობთა  
თეატრს მისი სახელი ეწოდა. დღეს „თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში“ მისი მოწაფეები მოღვაწეობენ. ძველ თაობასთან  
ერთად უნიჭიერესი ახალგაზრდა თაობა დგას სცენაზე. ყველანი ერთად ცდილობენ ასახონ თანამედროვეობა, გულწრფელად,  
საინტერესოდ ისაუბრონ მაყურებელთან. რეპერტუარში უწყვეტადაა გამორჩევი ხანდაზმული სპექტაკლი „ბაკულას ღორები“.  
თეატრი ცდილობს შეინარჩუნოს თუმანიშვილის „ჩვენი პატარა ქალაქი“, რათა ახალგაზრდები ეზიარონ ძველ გამოცდილებას,  
იგრძნონ ატმოსფერო. თეატრის აფიშა მრავალფეროვანია და საინტერესო. სიამოვნებით მოდიან უცხოელი რეჟისორები და  
მუშაობენ განსხვავებული მეთოდიკით. მიხეილ მარმარინოსმა დადგა „მედეა-მასალა“, „ეროვნული ჰიმნი“, „რომეო და ჯულიეტა“,  
ჰილარი ვუდმა - „კაბა“, „კამინო რელი“, „ჭირვეულის მორჯულება“. გაი მასტერსონის „ცხოველების ფერმამ“ კი ნამდვილი ფურორი  
მოახდინა ედინბურგის ფესტივალზე. ცალკე აღნიშვნის ღირსია 2016 წელს დადგმული ზურაბ გენაძისეული შექსპირის „მეფე ლირი“  
(ზურაბ ყიფშიძე მეფე ლირის როლში), რომელიც მაყურებლის უსაცვარლეს და ყველაზე პოპულარულ სპექტაკლად იქცა.

## MICHAEL TUMANISHVILI STATE PROFESSIONAL FILM ACTORS THEATRE

ABOUT THEATRE:

The Film Actors Theatre was opened in 1978 year on 14 th of January, on the day traditionally celebrated as the Day of Georgia Theatre. This event was a truly significant moment in history of Georgia theatre and a memorable millstone as the great Georgian theatre director of our times Michael Tumanishvili welcomed the audience into his own theatre, where the permanent troupe was comprised of his students and the experimental group of directors and actors, These were aspiring, highly talented young people fanatically in love with theatre, sometimes even referred as ‘soloists of orchestra’ or as Tumanishvili’s ‘chamber ensemble’ teamed up tied together at the time when the outstanding director left the Rustaveli Theatre. Officially called as the Theatre Workshop of the Georgian Film Studio the ensemble had its manifesto and rituals. Central here was the studio work, psycho – physical training and improvisation. ‘Improvise, exercise on episode, and then develop it... motion, motion and motion is our main task’ – used to say maestro. And so the actors came to a beautiful stage as if they were mounting the scaffold “to be burnt in ashes” totally enchanting audience by the theatrical sensation they watched in a cozy little space.

Michael Tumanishvili aesthetics, his innovative approach formed in the 1950s when he worked in Rustaveli Theatre. “We were the bridge which ensured that the romantic, declamatory and rhetorical theatre of pathos... We came to bring along change,” Tumanishvili, the reformer wrote in one of his books.

The production of the Film Actors Theatre have proved highly successful at various reputable festivals in Europe, Americas and Australia. The former students of the great director are still loyal to the theatre, now joined by a younger generation. Much is done to preserve the best practices of the well-established theatre - new performances are produced regularly, interesting discussions are held and numerous projects are fulfilled within the walls still keeping rich traditions. Moreover, the theatre invariably welcomes young talented actors and directors, who can benefit from the resources and support given to them so they can put their ideas to life.

“The language of the theatre has become more complex. New means, solutions, techniques and forms are needed. Anyone, especially the young, should be given the opportunity to courageously take the hard road of experimenting. We need to forever remember Stanislavski’s words that eternal Art is an endless road which requires renovating every 15 or so years: /Michael Tumanishvili/



ირაკლი გურგენიძე, კობა შონია

# როცა ქვეყანა დიდია

რეჟისორი – ირაკლი გურგენიძე  
სცენოგრაფია შოთა გლურჯიძის  
ქორეოგრაფები – კობა შონია, მარიამ ქარხალაძე  
მუსიკალური გაფორმება ირაკლი გურგენიძისა და კობა შონიასი  
რეჟისორის თანაშემწე – ელა კაზარიანი

პრემიერის თარიღი: 19.04. 2018  
ხანგრძლივობა: 55 წუთი, შესვენების გარეშე  
საგასტროლო ჯგუფი: 23 ადამიანი

მონაწილეობენ: ეკა ანდრონიკაშვილი, ქეთი ასათიანი/ანა ნიკოლაშვილი, რუსუდან ბოლქვაძე, ანა-მარია გურგენიშვილი, ირაკლი გურგენიძე, ვანო დუგლაძე, ნანუკა კუპატაძე, ცოტნე მეტონიძე, თემო ნატროშვილი, თორნიკე ქუთათელაძე, კობა შონია, ნინელი ჭანკვეტაძე, ბექა ჯუმუტია, ელისაბედ ფერაძე

## წარმოდგენის შესახებ:

სპექტაკლში ტანგოს ენით ნაჩვენებია დიდ ქალაქში ჩამოსული გოგონას ამბავი, რომელიც მისთვის მოულოდნელად, ერთდროულად ეჯახება ცხოვრების მრავალმხრივ ხიფათს – პირველ სიყვარულს და იმედგაცრუებას, მეგობრობას, მტრობას, უცხო გარემოში თავის დამკვიდრებას და წარმატებისთვის ბრძოლას... გვიჩვენებს ძლიერი ადამიანის სვლას ცხოვრების რთულ ლაბირინთებში და მისი ჩამოყალიბების პროცესს – აბსოლუტური უცხოობიდან, მისი გარემოცვის, ერთგვარი მიკროსამყაროს, ყურადღების ცენტრად ქცევამდე.

თეატრალურ წარმოდგენაში მიზანმიმართულად არაა დაკონკრეტებული მოქმედების დრო და სივრცე, რათა განზოგადებული სახით წარმოდგენილი ცხოვრების თანმდევი მარადიული თემების მიღმა, თითოეულმა მაყურებელმა საკუთარი ამბავი ამოიკითხოს და ამგვარად თანამონაწილე გახდეს ავტორების მიერ შეთავაზებული ისტორიისა.

## რეკომენდაცია:

ახალგაზრდა რეჟისორმა და ქორეოგრაფმა - ირაკლი გურგენიძემ და კობა შონიამ, ტანგოს ენით მოთხრობილი ერთსაათიანი, ერთობ ორიგინალური სანახაობა დადგეს თუმანიშვილის თეატრში და წარმოდგენას ტანგო/ქორეოდრამა უწოდეს. თუმანიშვილის თეატრის სხვადასხვა თაობის თხუთმეტამდე მსახიობი სხეულის, პლასტიკის, ტანგოს ენით გადმოსცემს, პროვინციიდან დიდ ქალაქში ჩასული გოგონას ისტორიას. ერთი პერსონაჟის გარშემო აგებულ სიუჟეტურ ქარგაში, რომელიც რეჟისორმა და ქორეოგრაფმა თავად შექმნეს, მოთხრობილია ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, მოვლენასა თუ გრძობაზე. ამბავი: პირველი სიყვარული და ლალატი, იმედგაცრუება, მეგობრობა, ცეკვით გატაცება, წარმატებისთვის ბრძოლა, არჩევანის გაკეთება - ტანგოს სხვადასხვა სტილისთვის შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებების ფონზე ვითარდება. დამდგმელებმა და შემსრულებლებმა ტანგო/ქორეოდრამა პატარ-პატარა ნოველებისგან ერთ მთლიან სანახაობა-ამბად შეკრეს.



მაკა ვასაძე, თეატრმცოდნე





# WHEN THE WORLD IS ENDLESS

Irakli Gurgenidze, Koba Shonia

Director: Irakli Gurgenidze  
Scenography by Shota Glurjidge  
Choreography by Koba Shonia, Mariam Charkhaladze  
Composer, Musical adaptation by Irakli Gurgenidze, Koba Shonia  
Assistant to director: Ela Kazariani

Date of Premire: 19.04.2018  
Duration: 55 minutes, without intermission  
The tour group: 23 person

The Cast: Eka Andronikashvili, Ketii Asatiani /Ana Nikolashvili, Rusudan Bolkvadze, Ana-Maria Gurgenishvili, Irakli Gurgenidze, Vano Dougladze, Nanuka Kupatadze, Tsoetne Metonidze, Temo Natroshvili, Tornike Kutateladze, Koba Shonia, Nineel Chankvetadze, Beka Jumutia, Elisabed Peradze

## ABOUT PERFORMANCE:

The interest towards Argentine Tango as a social dance is increasing. More and more Tango communities are created around the globe. For several years, Georgian tango professionals have been conducting tango workshops, milongas (social tango events) and performances within the country and abroad. Their efforts to attract more people - and thus facilitate their healthy and creative lifestyle - gradually result in the increased number of dancers. The co-production of Mikheil Tumanishvili Film Actors' Theater and Tango Academy – "When the World Is Endless" - promotes both a genre of choreodrama and Argentine social tango in Georgia. The dramaturgy in the play – with the original plot constructed by Director Irakli Gurgenidze and Choreographer Koba Shonia - covers variety of trends of Argentine Tango. At the same time the performance fully demonstrates the theatrical potential of tango. The whole story, without any word, staged with tango, is acted by professional drama actors instead of a dancers. The play tells the story of a small-town girl in the big city, where she tries to survive in the unfamiliar environment, and struggles for success ... The audience observes a

real-life story that reminds us about the importance of making right choices daily, urges us to look beyond challenges and achievements, joys and frustrations and to think about essentials, to look for the key to happiness...

The performance does not intentionally specify time and place of action, for each spectator is able to find his or her own story beyond the plot and the eternal topics, thus to become a part of the play.

## RECOMMENDATION:

A young director Irakli Gurgenidze and choreographer Koba Shonia staged an original hour-long tango narrative in the Tumanishvili Theatre and called it tango/choreodrama. A story of a provincial girl in a city is rendered through plasticity of tango by up to 15 actors across generations against the backdrop of various tango music scores. The plot, a brainchild of the director and choreographer, drawn on short stories, is a patchwork of events and emotions reflecting the first love, betrayal, disillusionment, friendship, choices, aspirations, fight for success and a place in the sun.

Maka Vasadze, theatre critic





ბერტოლდ ბრეხტ  
დედა კურაჟი და  
მისი შვილები

რეჟისორი - გიორგი სიხარულიძე  
სცენოგრაფია თეო კუხიანიძის  
ქორეოგრაფი - თიკო ქოიავა  
მუსიკალური ბენდის ხელმძღვანელი - გიორგი ხოსიტაშვილი  
რეჟისორის თანაშემწე - სოფო ორჯონიკიძე

ხანგრძლივობა: 55 წუთი, შესვენების გარეშე  
საგასტროლო ჯგუფი: 25 ადამიანი

პრემიერა შედგება თბილისის საერთაშორისო თეატრალური  
ფესტივალის ქართული სექციის პროგრამის ფარგლებში.

მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, ზაზა მიქაშავიძე, პაატა ბარათაშვილი, მახო აბულაძე, გუგა კახიანი,  
გია აბესალაშვილი, ბექა ჯუშუტია, თემო გვალია, ეკა ანდრონიკაშვილი, ანა-მარია გურგენიშვილი,  
გაგი შენგელია, ილია ქეიშვილი, ირაკლი კერესელიძე

აგრეთვე მონაწილეობენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები

წარმოდგენის შესახებ:

„დედა კურაჟი და მისი შვილები“  
პიესა ომის საშინელებებზე. ბერტოლტ  
ბრეხტი პიესაში ასახავს კაცობრიობის  
ისტორიის განზოგადებულ ბოროტებას  
- ომს, (ჩვენი ქვეყნის უახლეს  
ისტორიაშიც გვაქვს ეს გამოცდილება!)  
იმ უბრალო ადამიანების თვალთ  
დანახულს, რომელთა ცხოვრება  
რადიკალურად იცვლება, რადგან  
ომი მუდამ სავსეა სისასტიკით,  
მოულოდნელობით, გმირული  
საქციელით და უაზრო სიკვდილით.  
მთავარი გმირი, დედა კურაჟი,  
გადარჩენისთვის ყველაფერს აკეთებს.  
იგი ომის ჯუნგლებში ბილიკის  
გაკვალვას ცდილობს. ამ რთულ  
გზაზე, სოციალური თუ პოლიტიკური  
მნიშვნელობის მქონე დებულებები

მისთვის სიმყარეს კარგავს. ის არის  
დედა, რომელიც იგემებს სიმწარეს,  
მაგრამ არასოდეს ჩავარდება  
უიმედობაში. საინტერესო მიდგომა  
ომისადმი.

ბრეხტის ეპიკური თეატრი, ეპიკური  
დრამა არის ეპიზოდების ერთობლიობა,  
გათამაშებული „გაუცხოების ეფექტით“,  
რომელიც მაყურებლისაგან გონისმიერ  
განსჯას ელოდება.

ამ ხერხის გამოყენებით დადგმული  
სპექტაკლი ჩაითრევს მაყურებელს  
მოქმედებაში. თეატრი ხომ ის  
ადგილია, სადაც მსახიობი ცოცხალი  
შესრულებით ერთადერთ და  
განუმეორებელ განცდას ქმნის.  
მობრძანდით, „ომის მუზეუმში“.

საკონტაქტო ინფორმაცია:

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:  
გიორგი სიხარულიძე  
საკონტაქტო პირი: ზურაბ გენაძე  
ტელ: Tel: 599 550 912  
fax: +995 32 235 01 94  
E-mail: zuragets@yahoo.com  
http://www.facebook.com/  
TumanishviliFilmActorsTheatre  
**www.tumanishvilitheatre.ge**

SHOWCASE PREMIER!

Berthold Brecht

MOTHER COURAGE AND  
HER CHILDREN

Director: George Sikharulidze  
Scenography by Teo Kukhianidze  
Choreography by Tiko Qoiava  
Composer, Musical adaptation by Head of Music Band - Giorgi Khositashvili  
Assistant to director: Ela Kazariani

Duration: 55 minutes, without intermission  
The tour group: 25 person

The Cast: Nineli Chankvetadze, Zaza Mikashvidze, Paata Baratashvili,  
Makho Abuladze, Guga Kakhiani, Gia Abesalashvili, Beka Jumutia, Temo Gvalia, Eka Andronikashvili,  
Ana-Maria Gurgenishvili, Gagi Shengelia, Ilia Cheishvili. Irakli Kereselidze

Also: Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University's students

ABOUT PERFORMANCE:

„Mother Courage and her Children“ play,  
depicting how dangerous could be to let  
loose “the dogs of War”. Bertolt Brecht  
in play puts a spotlight on large-scale  
politics, touching something universal  
and looks at a war ( evil!) from the angle  
of a human being, whose life is radically  
different during a civil ( or any!) war,  
full of unpredictable moments, acts of  
heroism and senseless deaths. In the  
newest history, our country learned it by  
experience.

Mother Courage, protagonist, indomitable  
survivor, tries to cut a pass through  
the jungle of war, often escaping all  
rigid formulations of social and political  
significance. Mother, always full of a flavor  
of bitterness, is never hopeless. It is  
interesting way of thinking about War.  
Brecht’s Epic Theatre, epic drama is

designed as series of incidents, simply,  
clearly presented, using Alienation Effect.  
We, relying upon Brecht, his method  
and Effect, hope, that audience will get  
a taste of the action, as far as Theatre is  
a place, where actors are sharing with  
unique and unrepeatabe experience of live  
performance. Visit our ‘war museum’.

CONTACT INFORMATION:

Theater art director: George Sikharulidze  
Contact person: Zurab Getsadze  
Tel: 032 2996171 (+995) 595 424261  
fax: +995 32 235 01 94  
E-mail: zuragets@yahoo.com  
http://www.facebook.com/  
TumanishviliFilmActorsTheatre  
**www.tumanishvilitheatre.ge**

SHOWCASE PREMIER!



## ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

### თეატრის შესახებ:

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ერთ-ერთი უძველესი თეატრია აჭარაში. თეატრის შენობა, რომელიც ბათუმის ცენტრში მდებარეობს, 1952 წელს გაიხსნა. იგი დღემდე ითვლება ქალაქისა და რეგიონის კულტურული და შემოქმედებითი ცხოვრების ცენტრად.

თეატრის რეპერტუარი უანრობრივად მრავალფეროვანია: კომედია, ტრაგედია, ფანტასმაგორია, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ სპექტაკლები და პერფორმანსები.

თეატრი 521 მაყურებელზეა გათვლილი. ამჟამად იქ აღდგენითი სამუშაოები (2015 -2017) მიმდინარეობს. თეატრალური დასი აგრძელებს მუშაობას და წარმოდგენებს მართავს „ახალ სცენაზე“, 85 ადგილიან დარბაზში. ამ პერიოდში თეატრალური დასი აქტიურად დადის საგასტროლო ტურებზე. ახალი თეატრი მდებარეობს მისამართზე: ბათუმი 6000, მელაშვილის ქ № 32.

## BATUMI ILIA CHAVCHAVADZE PROFESSIONAL STATE DRAMA THEATRE

### ABOUT THEATRE:

Batumi Ilia Chavchavadze State Drama Theatre is located in the center of Batumi - the pearl of Black Sea coast. The Theatre was opened in 1952 and is the oldest drama theatres in Ajara. To this day the Theatre is regarded as the center of cultural and creative life of the city and the region.

The Artistic Director of the Theatre is a distinguished stage director AndroErukidze. Performances cover various genres: comedies, tragedies, phantasmagorias, performances for children and youth.

The Theatre seats 521 viewers. At present the repair works are in progress at the Theatre (2015-2017) and the company continues performing on "The New Stage", an 85-seat theatre. The theater company frequently goes on tours as well. The new theatre is located at the following address: № 32, Melashvili Street, Batumi 6000, Georgia.



# ნინო სადღობელაშვილი ედით პიაფი

რეჟისორი – გიორგი სიხარულიძე  
მხატვარი – თეო კუხიანიძე  
მუსიკალური გაფორმება ნინო სიხარულიძის  
რეჟისორის თანაშემწე – ზვიად მურვანიძე

პრემიერის თარიღი: 15.10.2017  
ხანგრძლივობა: 100 წუთი, შესვენების გარეშე  
საგასტროლო ჯგუფი: 25 ადამიანი

მონაწილეობენ: მაია ცეცხლაძე, აბელ სოსელია (ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი), ტიტე კომახიძე, კახა კობალაძე, ქეთი ეგუტიძე, ზაალ გოგუაძე, დათო ჯაყელი, მამუკა მანჯგალაძე

## წარმოდგენის შესახებ:

ნინო სადღობელაშვილის პიესა ედით პიაფის უკანასკნელ დღეებზე მოგვითხრობს. ლეგენდარული ფრანგი მომღერლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა თანაბრად ირეკლავს ლანდებსა და რეალურ ადამიანებს. სპექტაკლი მის ბიოგრაფიაზე, ბედსა და ცხოვრებაზე გვიამბობს.

## რეკომენდაცია:

ედით პიაფის ცხოვრების ბოლო დღეები და ბოლო მოგონებები, როდესაც უკვე ყველაფერი ჩავლილია. როდესაც ხსოვნა წარსულიდან მხოლოდ ტკივილებს ინახავს და აცოცხლებს. შეხვედრები, ფაქტები, მოვლენები სევდას, ტრაგიზმს და განცდებს ბადებენ, რადგან მხოლოდ ისინი შემორჩა მესხიერებას, ავად მყოფსა და წამლებით დაბინდულ გონებას, ყველაფრის დასავიწყებლად. სპექტაკლი, ედით პიაფის ბიოგრაფიის სხვადასხვა მასალის მიხედვით, ახალგაზრდა დრამატურგ ნინო სადღობელაშვილის პიესაზე, ქალაქ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში, ქალაქ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრთან თანამშრომლობით, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის

კინოსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, გიორგი სიხარულიძემ დადგა და დიდი ხნის ჩანაფიქრი აასრულა.

მაია ცეცხლაძის ბრწყინვალე სამსახიობო ნამუშევარი - კონკრეტული ნიშნებიდან განზოგადებულ თვისებებამდე, ხაზგასმული ფიზიკური მსგავსება შეგნებულად გათავისებულ მანერები, სპეციფიკური მეტყველება, კოსტუმები და შიშა და სასონარკვეთას შორის მერყევი მართოსული ადამიანი, რომელსაც აღარავინ ჰყავს საიმედო და აღარავისთან ცხოვრება აღარ შეუძლია.

ლელა ოჩიაური, ხელოვნებათმცოდნე

## საკონტაქტო ინფორმაცია:

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:  
ანდრო ენუქიძე  
საკონტაქტო პირი:  
ტელ: (+995) 555 366 399;  
(+995) 577 98 08 58  
E-mail: batumidramatheatre@gmail.com /  
gabaidzemikheil@gmail.com





Nino Sadgobelashvili

## EDITH PIAF

Director: George Sikharulidze  
Designer by Teo Kukhianidze  
Musical adaptation by Nino Sikharulidze  
Assistant to director: Zvian Murvanidze

Date of Premire: 15.10.2017  
Duration: 100 minutes, without intermission  
The tour group: 25 person

The Cast: Maia Tsetskhladze; Abel Soselia (Actor of Kutaisi Lado Meskhishvili State Drama Theatre); Tite Komakhidze; Kakha Kobaladze; Ketu Egtidze, Zaal Goguadze; Dato Jakeli, Mamuka Manjgaladze

### ABOUT PERFORMANCE:

The young play writers Nino Sadgobelashvili's play is about Edith Piaf's last days. Legendary French singer's psychological condition equally reflects ghosts and real people. It tells us about her biography, destiny and life.

### RECOMMENDATION:

The last days from Edith Piaf's life where only painful memories linger, where the past events conjure up tragism and raw emotions. This is all that is left for the plagued mind hazed by medication. The play is a materialization of a long-nurtured project idea by the Tumanishvili Theatre director Giyorgi Sikharulidze who staged the biographical play in the Batumi State Ili Chavchavadze Theatre in cooperation with the Kutaisi State Lado Meskhishvili Theatre based on the play by a young Georgian dramaturge Nino Sadghobelashvili.

In a brilliant show of artistry by Maya Tsetskhladze (Piaf) succeeded to adopt Piaf's idiosyncratic voice, diction and manners and portrayed a woman torn between fear and despair, incapacitated to share her life with or count on anybody.

Lela Ochiauri, art critic

### CONTACT INFORMATION:

Theater art director: AndroEnuqidze  
Contact person:  
Tel: (+995) 555 366 399 ;  
(+995) 577 98 08 58  
E-mail: batumidramatheatre@gmail.com /  
gabaidzemikheil@gmail.com







## სამეფო უბნის თეატრი

### თეატრის შესახებ:

სამეფო უბნის თეატრი 1997 წელს დაარსდა და ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი თეატრი იყო იმ დროის საქართველოში. მის სცენაზე წლების განმავლობაში არაერთი ინოვაციური ინიციატივა განხორციელდა.

ამჟამად თეატრის დასი ერთ-ერთი წამყვანია საქართველოში, ამაზე ნათლად მეტყველებს ქართველ კრიტიკოსთა მაღალი შეფასებები და თეატრის საერთაშორისო საგასტროლო რეზიუმე.

სამეფო უბნის თეატრის მთავარი პრინციპი ახლის ძიებაა. იგი მაყურებელს სთავაზობს საქართველოში ჯერ არ დადგმულ დრამატურგიულ მასალას. ასევე ცდილობს აღმოაჩინოს საინტერესო, ახალი ხედვის მქონე ახალგაზრდები და შემოქმედებითად წაახალისოს ისინი.

ჯეროვანი ყურადღება ეთმობა თანამედროვე ქართული დრამატურგიის განვითარებას და ამიტომ თეატრის რეპერტუარში ყოველთვის დიდი ადგილი უკავია ჩვენს მწერალთა შემოქმედებას.

სამეფო უბნის თეატრი ასევე ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას. 2014 წლიდან გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, თემურ ჩხეიძის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს სახელოსნო, სადაც ახალგაზრდა რეჟისორები და დრამატურგები პროფესიულ განათლებას იღებენ. ამავე ინიციატივის ნაწილია თეატრის მიერ წამოწყებული საგამომცემლო საქმიანობა, რომელის მიზანია თეატრალურ ხელოვნებასთან დაკავშირებული თეორიული ლიტერატურისა და დრამატურგიის ქართულ ენაზე გამოცემა.

თეატრის საერთაშორისო აქტივობები მოიცავს ერთობლივ ვორკშოპებსა თუ ლექცია-სემინარებს, გაცვლით ინიციატივებს ევროპულ პარტნიორებთან.

თეატრის საერთაშორისო საგასტროლო რუკა ბოლო წლების განმავლობაში მეტად გაფართოვდა. სამეფო უბნის თეატრმა თავისი სპექტაკლები წარმოადგინა ბელგიის, შვედეთის, გერმანიის, პოლონეთის, ბელარუსის, მოლდოვეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ბულგარეთისა და საფრანგეთის ქალაქებში.

---

## ROYAL DISTRICT THEATRE

### ABOUT THEATRE:

ROYAL DISTRICT THEATRE was founded in 1997 by a prominent Georgian actress Iza Gigoshvili. Since its establishment RDT has been supporting innovative and free theatrical experiments, popularization of new plays, thus contributing to widening the perspective of Georgian theatre. Since 2008 a young group of actors - led by award winning young director and author Data Tavadze - has been active at RDT. The group made the theatre popular abroad with its innovative forms and acutely up-to-date performances. Data Tavade's productions were presented at Deutsches Theater Berlin, BOZAR Brussels, moment:teater Stockholm, Badisches Staatstheater Karlsruhe, Staatstheater Braunschweig, Gdansk Shakespeare Theatre and more.

In 2008-2011 RDT founded the festival of 25-minute play ARDifest that aimed at discovering new faces and encouraging their work. The directors, playwright, actors, composers and designers discovered at ARDifest are ultimately defining the face of young Georgian theatre nowadays.

RDT is also active in the educational field, it hosts the Center for Development of Contemporary Theatre. RDT actively collaborates with Gothenburg Academy for Music and Drama (Sweden); arranges public lectures, professional seminars, workshops for Georgian and foreign theatre-makers.

Repertoire choices at RDT are always taking into consideration social values, political event in Georgia and around the world, as we do believe that theatre is a space for reflection and reaction, dialogue and analysis.

# ლარს ნურენი დემონები

რეჟისორი – მიხეილ ჩარკვიანი  
სცენოგრაფია ქეთევან ნადიბაიძის  
კომპოზიტორი – ერეკლე გენაძე

პრემიერის თარიღი: 24.03.2018  
ხანგრძლივობა: 110 წუთი, შესვენების გარეშე  
საგასტროლო ჯგუფი: 13 ადამიანი

მონაწილეობენ: ნატო კახიძე, თორნიკე გოგრიჭიანი, ქეთევან შათირიშვილი

## წარმოდგენის შესახებ:

ფრანკს შინ გარდაცვლილი დედის ფერფლი მოაქვს. დაპირების მიუხედავად, მის ცოლს სახლი არ დაუღაგებია, არც ძმა და რძალი გამოჩნდებიან, რათა ერთად გამოეთხოვონ დედას. შეკავებული გრძნობები ერთიანად ამოხეთქავს, როცა მათთან სტუმრად მეზობლად მცხოვრები ოჯახური წყვილი ამოდის. ეს თითქოს ჩვეულებრივი საღამო თავშეუკავებელ, დამამცირებელ და სასტიკ დაპირისპირებაში გადაიზრდება, სადაც ორი ქალი და ორი კაცი საკუთარ დემონებს სრულ თავისუფლებას მისცემენ.

## რეკომენდაცია:

როდესაც თანამედროვე ქართულ თეატრზე საუბრობენ, პირველ რიგში გულისხმობენ ახალგაზრდა რეჟისორებს. უფრო ზუსტად, მათ ძიებებს, ნაჯაფ-ნაწვალეებს სპექტაკლებს, ზოგჯერ რადიკალურ პერფორმანსებს ახალ ფორმებს, იდეებს, კონცეფციებს და ა.შ. მათ შორისაა რეჟისორი მიშა ჩარკვიანიც, რომლის „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“, „მედეა“ და „მკვდარი ქალაქები“ გარკვეულწილად, რადიკალურ ესთეტიკურ განაცხადად შეიძლება მივიჩინოთ. გამომწვევი იდეების სცენაზე გახმოვანება და ესთეტიკური რადიკალიზმი არც „სამეფო უბნის თეატრში“

განხორციელებულ „დემონებს“ აკლია, რომელიც მიშა ჩარკვიანმა მეოცე საუკუნის შვედი დრამატურგის, სცენარისტისა და რეჟისორის, ლარს ნურენის მიხედვით დადგა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ნურენის პიესა პირველად დაიდგა.

დავით ბუხრიკიძე,  
ხელოვნებათმცოდნე

## საკონტაქტო ინფორმაცია:

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:  
მერაბ თავაძე  
საკონტაქტო პირი: დავით გაბუნია  
ტელ: 032 2996171 (+995) 595 424261  
E-mail: info@rdt.ge  
dgabunia@yahoo.com







Lars Noren

# DEMONS

Director: Mikheil Charkviani  
Scenography by Ketevan Nadibaidze  
Composer: Erekle Getcadze

Date of Premire: 24.03.2018  
Duration: 110 minutes, without intermission  
The tour group: 13 person

The Cast: Nato kakhidze, Tornike Gogrichiani, Ketevan Shairishvili

## ABOUT PERFORMANCE:

Frank brings home the ashes of his dead mother; despite the promise, his wife has not cleaned the house, neither his brother and sister-in-law appear to mourn their dead mother together. Oppressed emotions erupt at once as soon as their neighbouring couple visits them. What promised to be an usual evening, turns into a heedless, humiliating and violent confrontation; where two women and two men set their own demons free.

## RECOMMENDATION:

Contemporary Georgian theatre is identified with young directors, more specifically, their explorations, plays they put hard work in, their radical performances, novel ideas, concepts, etc. Misha (Mikheil) Charkviani is a representative of a new generation of stage directors. His works, such as The Lost Honour of Katharina Blum, Medea and Dead Cities are marked by radical aesthetic statements. Demons at Royal District Theatre by the contemporary Swedish playwright Lars Noren is the first ever production in Georgia and his yet another successful attempt in putting across bold, thought-provoking ideas in the manner of radical aestheticism.

Davit Bukhrikidze, Art critic

## CONTACT INFORMATION:

Theater art director: Merab Tavadze  
Contact person: Davit Gabunia  
Tel: 032 2996171; (+995) 595 424261  
E-mail: info@rdt.ge  
dgabunia@yahoo.com





## თავისუფალი თეატრი

### თეატრის შესახებ:

მე ვხსნი კიდევ ერთ თეატრს, რომლის დევიზი იქნება „სჯობს ცოტა, ოღონდ კარგი!“ ეს იქნება „თავისუფალი თეატრი“ თავისუფალი მაყურებლისათვის, სადაც გზა მხოლოდ ნიჭიერ შემოქმედებს მიეცემათ.

ავთო ვარსიმაშვილი. 2001 წ. 31 მარტი

„თავისუფალი თეატრი“ გაიხსნა 2001 წლის 31 დეკემბერს. თეატრი მუშაობს ანტრეპრიზის პრინციპით და მუდმივად ასაქმებს 50-მდე მსახიობს. საზოგადოება უკვე იცნობს „თავისუფალი თეატრის“ სახეებს.

თეატრი კერძოა და ეკუთვნის რეჟისორ ავთო ვარსიმაშვილს.

„თავისუფალი თეატრი“ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული თეატრია, აქ ბილეთები ორი-სამი კვირით ადრე იყიდება.

„თავისუფალმა თეატრმა“ სპექტაკლები უჩვენა საქართველოს ყველა კუთხეში, ის იყო პირველი თეატრი, რომელმაც მოახერხა და უჩვენა სპექტაკლები მაყურებელს კონფლიქტის ზონაში – ცხინვალის რეგიონში.

მრავალფეროვანი და შთამბეჭდავია „თავისუფალი თეატრის“ საგასტროლო-საფესტივალო რუკა. რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, ლატვია, გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი, ეგვიპტე, თურქეთი, რუმინეთი – ეს ის ქვეყნებია, სადაც

„თავისუფალმა თეატრმა“ წარმოადგინა თავისი სპექტაკლები და ყველაზე მაღალი შეფასებები მიიღო.

მიუხედავად რეჟისორული მრავალფეროვნებისა, „თავისუფალი თეატრი“ პირველივე სპექტაკლებიდან ჩამოყალიბდა, როგორც სოციალუ -პოლიტიკური თეატრი. სწორედ ამიტომაც „თავისუფალი თეატრი“ არის „თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს და დღესასწაულს სთავაზობს თავის მაყურებელს“.

## LIBERTY THEATRE

### ABOUT THEATRE:

“Liberty Theatre is an property of famous Georgian director Avtandil Varsimashvili. The second theatre after “Theatral Basement” that Mr. Varsimashvili opened in Tbilisi. The architectural form of the theatre is the ship the representation of liberty.

“Liberty Theatre” is of the top Georgian theatres. It is the only Georgian theatre where the tickets are sold two-three weeks in advance the play. Theatre has 20 professional actors of different age. Theatre’s program includes 15 plays, which are delivered everyday, except Monday.

On the basis of “Liberty Theatre” was created “Vars-Studia”, which makes feature films. The studio produced 2 feature films, which had fantastic success in Georgia’s movie theatres.

“Liberty Theatre’s” actors have an active collaboration with television, so they are one of the most popular faces in Georgia.

“Liberty Theatre” tours a lote and participates in different theatral festivals. Russia, Ukraine, Germany, Latvia, Romania, Poland, Egypt, Turkey, Greece are among the countries which applauded “Liberty Theatre’s” plays.



# კლტონელი განდეგილები

ჟან პოლ სარტრის იდეის მიხედვით

რეჟისორი – იოანე (ვანო) ხუციშვილი  
სცენოგრაფია თეო კუხიანიძის  
მუსიკალური გაფორმება გიორგი ჯიქიასი  
რეჟისორის თანაშემწე – ნინო უჩანავაძე

პრემიერის თარიღი: 19.04.2018  
ხანგრძლივობა: 180 წუთი, ორი შესვენებით  
საგასტროლო ჯგუფი: 14 ადამიანი

მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, გიორგი ზანგური, ნატალია ყულოშვილი, ნუცა სულაბერიძე, გიორგი ჯიქია

## წარმოდგენის შესახებ:

სპექტაკლის მიზანია გამოიკვლიოს ადამიანის ეგზისტენციალური მდგომარეობა ომის შემდეგ. რა კვალს ტოვებს ომი, როგორც მემკვიდრეობა და მემკვიდრეობა, როგორც ძალადობა. საკუთარი თავის და პირადი „მე“-ს გააზრება ომის შემდეგ. რა კომპლექსებს ტოვებს ომი და როგორ აისახება ის ადამიანებში. ომი ოჯახსა და ურთიერთობებში - ცივი ომი. თვითგადარჩენის ინსტიქტი განადგურებამდე. ცოდვა, როგორც ახალი ცოდვის შემოსვლა ადამიანში და ამ ცოდვის შედეგად საკუთარი თავის განადგურება. წარსულის და მემკვიდრეობის ეგზისტენციალურ გააზრებას, ტრადიციულ ქცეულ დოგმებს და კომპლექსებად ჩამოყალიბებულ უნარებს ადამიანები მიყავს თვითგანადგურებამდე. ომი - თვითგანადგურებაა.

## რეჟისორის შესახებ:

ეს სპექტაკლი მათთვისაა, ვისაც ინტელექტუალური თეატრი ხიბლავს, ვისაც თეატრში მოსმენა და მსახიობის სკულპტურული ნამუშევრისთვის თვალისდევნება უყვარს. „ალტონელი განდეგილები“ რეჟისორის, სცენოგრაფისა და არტისტების ნატიფ, ფაქიზ და დახვეწილ ნამუშევარს წარმოადგენს. რეჟისორი, სცენოგრაფი და მსახიობები გარკვეული

პერიოდულობით, მოულოდნელად გვაოცებს ყოველი ეპიზოდის ბოლოს და ურთულეს, ფსიქოლოგიური წინააღმდეგობებით გაჯერებულ ამბავს, მწირო გამომსახველობით საშუალებებით, მოზომილი და განონასწორებული ემოციურობით გვიყვებიან.

ვისაც თეატრი ინტელექტუალური, გონების სავარჯიშოდ განკუთვნილი გასართობი დაწესებულება ჰგონია, ვისაც აქვს ნებისყოფა უყუროს გრძელ სპექტაკლს, ვისაც აქვს გამოცდილი თვალი და გავარჯიშებული გონება, ისიამოვნოს მსახიობის ხელოვნებით (სადაც არც ყვირიან და არც ჭარბი ემოციურობით განუხებენ) და იუველირულ რეჟისურით, მაშინ ვანო ხუციშვილის სპექტაკლი „ალტონელი განდეგილები“ უნდა ნახოს თავისუფალი თეატრის სცენაზე.

ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე

## საკონტაქტო ინფორმაცია:

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:  
ავთანდილ ვარსიმაშვილი  
საკონტაქტო პირი: თორნიკე ლლონტი  
ტელ: 032 2 98 58 21 (+995) 591 93 99 56

WWW.THEATRE.GE



# THE CONDEMNED OF ALTONA

According to the idea by Jean-Paul Sartre

Director: Ioane (vano) Xutsishvili  
Scenography by Teo Kukhianidze  
Musical designer: Giorgi Jiqia  
Assistant to director: Nino Uchaneishvili

Date of Premire: 19.04.2018  
Duration: 180 minutes, without intermission  
The tour group: 14 person

The Cast: Slava NaTenadze, Giorgi Zanguri, Natlia Kuloshvili, Nuca Sulaberidze, Giorgi Jiqia

## ABOUT PERFORMANCE:

The purpose of the performance is to examine the existentialistic condition of human after war. What heritage do war and violence leave? Realizing personal ego after the war. How does war affect humans, their families and relationships? From self-preservation instinct till destruction. Sin, as a new knowledge in human that causes self-destruction. Self-destruction is cause by existential realizing of the past and future, traditional dogmas and complex skills. Was is self-destruction.

## RECOMMENDATION:

The Condemned of Altona is a play for those who relish in intellectual theatre, in listening to and appreciating actors' scrupulous work. In a subtle and refined joint attempt the director, scenographer and actors tell a psychological drama, where each episode holds a surprise for the spectator, in a somewhat subdued and unneurotic way.

If theatre is a pastime for you which trains your mind, if you are patient enough to watch long plays, experienced enough to appreciate the artistry, if you delight in the performance and director's painstaking meticulous toil, than this is the play for you.

Lasha Chkhartishvili, theatre critic

## CONTACT INFORMATION:

Theater art director: Avtandil Varsimashvili  
Contact person: Tornike Glonti  
Tel: 032 2 98 58 21; (+995) 591 93 99 56  
[www.theatre.ge](http://www.theatre.ge)







## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი

### თეატრის შესახებ:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი, რომელიც 2010 წელს გაიხსნა ვაკის თეატრალური სარდაფის ბაზაზე, პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პროფესიული თეატრია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. თეატრის პროფესიულ წარმოდგენებში ცნობილი მსახიობების გვერდით ყოველთვის არიან დაკავებული უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რაც მეტად მნიშვნელოვანია მათი პროფესიული ზრდისათვის. თეატრის ძირითადი მისია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ცენტრის სტუდენტების პროფესიული ზრდა და ტრენინგია. თეატრი ანტრეპრიზის პრინციპზე მომუშავე შემოქმედებითი სივრცეა, მას არა ჰყავს სამხატვრო ხელმძღვანელი და მუდმივმოქმედი დასი. ყოველი ახალი წარმოდგენისათვის რეჟისორისა და მსახიობების მოწვევა ხელახლა ხდება სხვადასხვა თეატრებიდან.

## ILIA STATE UNIVERSITY THEATRE

### ABOUT THEATRE:

The Ilia State University Theatre, the first and for the time being the only professional theatre in Georgian higher education setting, was opened in 2010 on the premises of once celebrated Theatre Basement in Vake. The Theatre operates as a venture project, inviting different directors and groups of actors for its performances. Hence, it is not governed by an artistic director and has no permanent group of actors. The Theatre is always open for youth to participate in and explore stage arts and crafts. The stage often hosts master classes held by distinguished representatives of various arts traditions and student performances. The theatre also supports the University Theatre Arts Programme making sure that the students majoring in acting, directing and set designing get a highly professional training of stage.

# მარათ-სადი

## პეტერ ვაისის მიხედვით

რეჟისორი – საბა ასლამაზიშვილი  
სცენოგრაფია თეო კუხიანიძის  
კომპოზიტორი – კონსტანტინე ეჯიბაშვილი  
რეჟისორის თანაშემწე – პავლე ინასარიძე

პრემიერის თარიღი: 10.05.2018  
სანგრძლივობა: 110 წუთი, შესვენების გარეშე  
საგასტროლო ჯგუფი: 21 ადამიანი

მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ამირან ქაჩიბაია, ანი იმნაძე, ანიკო შურღაია, ჯანო ვალიშვილი, ვლადიმერ ვაშაკიძე, კონსტანტინე ეჯიბაშვილი, ანდრია ვაჭრიძე, ლიკა ზარნაძე, შოთა თორღია, თორნიკე კაკულია, გაგა არაბული, პაატა ბაბლუანი, გიორგი მაქაძე, მარიამ ბალახაძე, ელენე დაბრუნდაშვილი

### ნარმოდგენის შესახებ:

უნ-პოლ მარათის დევნა და მკვლელობა, შარანტონის თავშესაფრის მსახიობთა მიერ დადგმული მარკიზ დე სადის ხელმძღვანელობით. შესაძლებელია კი სრული თანასწორობის მიღწევა რევოლუციის საშუალებით? არის კი რევოლუცია გზა, რომელიც თავისუფლებისა და ძმობის შეგრძნებებს მოგვითმის და სურვილებს დაგვიკმაყოფილებს? სწორედ ამ კითხვებზე პასუხების ძიებაში პიესის მთავარი გმირი, მარკიზ დე სადი შარანტონის საგიუეტოში, პაციენტების მონაწილეობით ექსპერიმენტულ სპექტაკლს დგამს და შედეგი, რომელსაც ის მიიღებს, საკმაოდ მოულოდნელია. ახალგაზრდა დამწყებმა რეჟისორმა, საბა ასლამაზიშვილმაც თავისი სადებიუტო სპექტაკლისთვის ექსპერიმენტის გზა აირჩია და ნარმოდგენა არა ტრადიციულ სივრცეში, არამედ თეატრის ფოიეში დადგა. ორი საათით ილიას უნივერსიტეტის თეატრი შარანტონის თავშესაფრის იერს მიიღებს და მსახიობები მაყურებელთან ერთად შეეცდებიან საფრანგეთის რევოლუციის პერიპეტეიების გახსენებისას მონახონ პახუხები იმ კითხვებზე, რომელნიც დღესაც ესოდენ საჭირობოტოა.

### რეკომენდაცია:

საბა ასლამაზიშვილის პირველი დამოუკიდებელი ნაწარმოები გამოცდილი და მოაზროვნე რეჟისორის სპექტაკლს ჰგავს. ალტერნატიული ფორმით, ალტერნატიულ სივრცეში გათამაშებული ნარმოდგენა მაყურებელს მარადიულ პრობლემებზე აფიქრებს. დაძაბულ ატმოსფეროში ახალგაზრდა და გამოცდილი მსახიობები მრავალფეროვან სახე-ხატებს ქმნიან, რომლებიც დიდი ოსტატობით სპექტაკლის დასასრულამდე ინარჩუნებენ მხატვრულ ხარისხს. რევოლუციის გზით თანასწორობის მიღწევისთვის ბრძოლა ისევე განწირულია, როგორც სრული თავისუფლების მოპოვების იდეა. ახალგაზრდა რეჟისორი დილემური პრობლემების გადაჭრას ცდილობს და მისეულ ვერსიას გვთავაზობს.

ლაშა ჩხარტიშვილი  
თეატრმცოდნე

### საკონტაქტო ინფორმაცია:

თეატრის მმართველი: ნატალია თვალჭრელიძე  
საკონტაქტო პირი: მარადია ცაავა  
ტელ: (+995) 599529199;  
(+995) 599301715  
E-mail: natalia.tvlchrelidze@iliauni.edu.ge  
maradia.tsava@iliauni.edu.ge







# MARAT/SADE

According to Peter Weiss

Director: Saba Aslamazishvili  
Sets Designer: Teo Kukhianidze  
Composer: Music for the performance created by Konstantine Ejibashvili  
Assistant to director: Pavle Inasaridze

Date of Premire: 10.05.2018  
Duration: 110 minutes, without intermission  
The tour group: 21 person

The Cast: Bacho Chachibaia, Amiran Kachibaia, Annie Imnadze, Aniko Shurghaia, Jano Valishvili, Vladimer Vashakidze, Konstantine Ejibashvili, Andrea Vachridze, Lika Zarnadze, Shota Tordia, Tornike Kakulia, Gaga Arabuli, Paata Babluani, George Makadze, Mariam Balakhadze, Elene Dabrundashvili

## ABOUT PERFORMANCE:

The Persecution and Assassination of Jean-Paul Marat as Performed by the Inmates of the Asylum of Charenton Under the Direction of the Marquis de Sade. Is it possible to get an all-embracing equality through revolution? Is revolution a path which brings liberty and fraternity and makes our wishes come true? These are the matters that the main character of the play, the Marquis de Sade is eager to resolve when staging an experimental performance with the patients of Charenton Mental Asylum. The result he gets is quite unexpected. Young director Saba Aslamazishvili also took a path of an experiment for his debut performance and staged in not in a traditional setting but in the theatre foyer. For two hours Iliani Theatre will don the garments of Charenton Asylum and the actors through reviving the adventures of the French Revolution together with the audience will try to find answers to the questions still so vital today.

## RECOMMENDATION:

Saba Aslamazishvili's Marat/ Sade, does not strike the spectator as a work of a debutant. Moreover, it feels like a work of a seasoned and thinking professional. The young director deploys alternative forms to

explore eternal problems of liberty and the fight for it. The idea of obtaining freedom through revolution is as doomed as the idea of total and complete freedom. The cast of the play has to be given credit too for creating various images without failing to maintain the intense atmosphere throughout the play.

## CONTACT INFORMATION:

Theater manager: Natalia Tvalchrelidze  
Contact person: Maradia Caava  
Tel: (+995) 599529199; (+995) 599301715  
E-mail: natalia.tvalchrelidze@iliauni.edu.ge  
maradia.tsaava@iliauni.edu.ge

Lasha Chkhartishvili, theatre critic





# კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

## თეატრის შესახებ:

„ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა – მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა.“ სწორედ ამ კონცეფციაზე დაყრდნობით, დიდმა ქართველმა რეჟისორმა და რეჟორმატორმა კოტე მარჯანიშვილმა მეორე ქართული სახელმწიფო თეატრი შექმნა. მარჯანიშვილის თეატრს წლების განმავლობაში ქმნიდნენ ცნობილი მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, რომლებმაც იგი ქვეყნის კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილად აქციეს. მარჯანიშვილის თეატრს დაარსებიდან 90 წელი უსრულდება. თეატრი მისი დამაარსებლის – კოტე მარჯანიშვილის ტრადიციების ერთგული რჩება. ტრადიციისა და ნოვაციის შერწყმით, მაყურებელზე ორიენტირებული რეპერტუარით მან მოახერხა „საზოგადოებრივი“ თეატრის (სოციალური თეატრის) სახელი დაემკვიდრებინა. შეიძლება ითქვას, საკუთარ თავზე აიღო ერთგვარი განმანათლებლისა და სოციალური კომენტატორის ფუნქცია. მარჯანიშვილის თეატრი ქვეყნის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია და დღემდე ინარჩუნებს ლიდერის სტატუსს. 2006 წლიდან დღემდე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია გამორჩეული რეჟისორი ლევან წულაძე. თეატრში მუშაობენ საუკეთესო მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები, ეს ის გუნდია, რომელიც განაპირობებს თეატრის წარმატებას და აქტუალურობას. ყველა საპრემიერო წარმოდგენა დიდი მოვლენაა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. მარჯანიშვილის თეატრი მხოლოდ თეატრალური წარმოდგენებით არ შემოიფარგლება. მისი პროფილის შემადგენელი ნაწილია სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტის მხარდაჭერა. 2015 წლიდან მარჯანიშვილის თეატრი ევროპის საერთაშორისო თეატრალურ კონვენციის – ETC -ის სრულუფლებიანი წევრი გახდა! კონვენციის წევრობა გულისხმობს ევროპული თეატრების ოჯახში გაერთიანებას. მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობას, ერთობლივი პროდუქციის შექმნას და იდეების განხორციელების შესაძლებლობას. თეატრის დაარსებიდან 86 წლის შემდეგ გაზეთი გარდიანი წერდა: „თუ საქართველოს სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ.“

## KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE

### ABOUT THEATRE:

One of the most revered theatres in Georgia, itself one of the world’s great theatre cultures, the Marjanishvili was founded in 1928 by a famous Georgian Stage Director Kote Marjanishvili. “The aim of art is very simple - to bring happiness and instill courage “ – Kote Marjanishvili based his concept of new theatre on new drama and classics, unique ensemble of artists and new technologies by that time. With the roots in glorious past , Marjanishvili’s present is determined by several factors: one of the most distinguished leaders of contemporary Georgian Culture - artistic director Levan Tsuladze and the team around him; public oriented repertory strategy and the constant search for new contemporary theatre language. Marjanishvili Theatre premieres a minimum of ten shows per season alongside a repertoire of over 30 existing productions.. We work on three stages - Big, “Attic” and “the Basement” with 50 000 spectators every season. The repertoire presents the classics of world literature alongside with the contemporary drama. Georgian classics and modern playwrighting is a key component to Theatre. Theatre is evolving and attractive to all generations of society, not only by creative degree and quality, but also with its active social position. In the times, when digital technology takes leadership in society, Levan Tsuladze with his artistic team, suggests that stage, as “now and here” fundamental already for 25 centuries , is not only primary today , but also extensively needed . In new world, structured lives and systemized or diversified with technologies world, “live process” gets unique importance; What happens here and now, will never happen anywhere any other time; Marjanishvili is vivid Theatre - accumulator of live and active processes, pulling in professionals and audience; Marjanishvili is a theatre that almost a century breathes with the time and reflects it; Marjanishvili appears regularly at theatre festivals all over the world with success. We are members of European Theatre convention and hub young generation of artists. We are connected with co-productions and exchanges to Theaters and artists in UK, Italy, Greece, Poland, Azerbaijan, Germany, Ukraine, Macedonia and Israel. The Theatre is a hub for intellectuals with different lectures, regular speeches and live exhibitions. We regularly host and participate in presentation of new plays, poetry readings, exhibitions and concerts; The Theatre was a guest of festivals and toured several of its performances in UK, GERMANY, ITALY, CHINA, TURKEY, POLAND, USA, ROMANIA, TUNISIA, ISRAEL, INDIA and many other countries in the world. We stimulate artists. We build knowledge and emotion, we offer unique experience and inspire audiences.

## პრემიერები • Showcase Premieres!

ლაშა ბუღაძე, მიშელ დიდომი, სერჟ კოჰენი, მარი დილასე, კონსტანტინ კუსპერტი, ფრედერიკ სონტაგი

# დადგი შენი ქალაქი

რეჟისორი: მიშელ დიდომი

აპლიკაციის დიზაინი, სცენოგრაფია, მედია და ციფრული ტექნოლოგიები: ქრის ზიგლერი  
ხმის დიზაინი: დეიმონ ლი

სამხატვრო კოლაბორაცია: დიდიე ბილონი, იან გერიკი, ბერნდ ლინტერმანი, ლაშა კვანტალიანი  
აპლიკაციის დეველოპერი: უანდო დეველოპმენტ ჯგუფი

ციფრული დრამატურგია: იან ლინდერსი, ბრუნო კოენი, ნუცა ბურჯანაძე, სარა შტურენბერგი  
ტექნიკური კოორდინატორი: დათა დვალიშვილი

შემოქმედებითი პარტნიორი: ZKM / ხელოვნების და მედიის ცენტრი, კარლსრუე  
მონაწილეობენ: ეკა ნიჟარაძე, ნიკა თავაძე, ვალერი კორშია, ზაზა იაქაშვილი,  
ვირტუალური მსახიობები: კლაუს კოფალკა-ადამი, ნატო კახიძე.

პრემიერა შედგება ქართული სპექტაკლების პროგრამის ფარგლებში  
ხანგრძლივობა: 90 წუთი

## პროექტის მოკლე აღწერა:

დადგი შენი ქალაქი პარტნიორი თეატრების პროექტია ნენსი-ლორანის ნაციონალური დრამატული ცენტრის, Théâtre de la Manufacture (საფრანგეთი), ბადენის სახელმწიფო თეატრის, კარლსრუე (გერმანია) და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის (საქართველო). პროექტი ევროპული თეატრალური კონვენციის კო-პროდუქციაა და ხორციელდება ევროპული თეატრალური ლაბორატორიის პროექტის ფარგლებში: თეატრი ხვდება ციფრულ ტექნოლოგიებს. ევროპის თეატრალური ლაბორატორია ევრო-გაერთიანების შემოქმედებითი ევროპის პროგრამის მიერ არის თანადაფინანსებული. დადგი შენი ქალაქი ორი ტრენდის შერწყმაა, ერთის მხრივ, ციფრული ტექნოლოგიების და მეორეს მხრივ, მონაწილეობითი თეატრის. იგი იყენებს გაძლიერებულ (AR), შერეულ და ვირტუალურ რეალობას, 360°-ანი ვიდეოს, თამაშების ელემენტებს და მოიცავს ქალაქის ტურს, სადაც მონაწილეებს მეგზურობას აპლიკაცია უწევს. მონაწილეობითი მიდგომა აუდიტორიას აძლევს საშუალებას ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში და თვითონაც იპოვოს გზა ამ მომავლის დისტოპიური ზღაპრიდან, სადაც ქალაქს ხელოვნური ინტელექტის ზიგმაგორას ბატონობა ემუქრება. მონაწილეები ინტერაქტიულად იკვლევენ თავიანთ ქალაქს და ყურადღებას ისეთ თემებზე ამახვილებენ, როგორებიცაა ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, იდენტობა და სიყვარული.

## საკმატაკლის შესახებ:

ზიგმაგორა გიხმობს. წელი 2018 – ინტერნეტი, მობილური ტელეფონები, გეოლოკალიზაცია და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები თითოეული ჩვენგანისათვის ურთიერთობის ახლებურ ჩვევებს აყალიბებს და ჩვენს ხელში მუდმივად ახლებურ გამოყენებას პოვებს. ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით ამ ცვლილებების მოწმე. მსოფლიოში მიმდინარე არარეგულირებულ პროცესები (ეკონომიკური კრიზისები, კლიმატის ცვლა, მიგრაცია, ომები) ბიძგს აძლევს ინდუსტრიალიზაციის ახალი სტადიის ჩამოყალიბებას, რაც ადამიანური საქმიანობის მასალის და სიმბოლური საქონლის კოდირებას გულისხმობს. ახლებურ მონაცემთა ეკონომიკა ინფორმატიკის გიგანტების მიერ არის მართული და ელდორადოსაგვით ზღვა შესაძლებლობებს გვპირდება. წელი 2052 – ოთხი ექსპერტი მომავლიდან კაცობრიობის მომავლის ამბავს გვიყვება. ისინი სატავენ სურათს სადაც ყველაფერი სიმშვიდეს მოუცავს და სრულად კონტროლებადია. ადამიანთა საქმიანობას ეფექტურად მართავს ხელოვნური ინტელექტი და ხალხის მშვიდ და მონესრიგებულ ცხოვრებაზე ალგორითმული რაციონალურობა ზრუნავს. (უფრო მეტიც, ყველას ერთი და იმავე ისტორიულ ჭეშმარიტებებზე ესაუბრებიან). ამ დისტოპიურ სამყაროს აღარაფერი შერჩენია ინფორმაციის გადაცემის სიჩქარის, მონაცემთა დაგროვებისა და არაჩვეულებრივად უსაფრთხო და კონტროლებადი ქალაქის მიღმა. ადამიანებს აღარ შერჩათ გრძნობები, სიყვარულიც აღარსადაა. ზიგმაგორა ამ უემოციო


სამყაროს მოწმე გამხდარა. იგი ამ ქალაქში იმ დროს ბრუნდება როდესაც ეს ყოველივე დაიწყო. ბრუნდება იმის გადასარჩენად რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელია. იგი თითოეულ ადამიანს მნიშვნელოვან მისიას გაანდობს. ეს მისია ამ ქალაქში დაკარგული ემოციების აღმოჩენა და ძმობისა და ერთგულების, თანასწორობისა და თანაგრძნობის კვალის გაყოლაა. ამ მისიის შესასრულებლად ქალაქში სახეტილოდ გვიხმობენ. ეს მოგზაურობა დილემათაა სავსე, რადგან ემოცია და გრძნობები ჩვენს არჩევანთანაა გადაჭაჭვული, არჩევანთან, რომელსაც ადამიანებთან, ნივთებთან და ადგილებთან დაკავშირებით ვაკეთებთ. შევძლებთ კი ზიგმაგორას სამყაროს შეცვლას? და თუ შევძლებთ, რავგარად?

## საკონტაქტო ინფორმაცია:

ეკატერინე მაზმიშვილი  
დირექტორი/კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი  
eka@marjanishvili.com

იან ლინდერსი  
მთავარი დრამატურგი/ბადენის სახელმწიფო თეატრი, კარლსრუე  
jan.linders@staattheater.karlsruhe.de

მიშელ დიდომი  
სამხატვრო ხელმძღვანელი/ნენსი-ლორანის ნაციონალური დრამატული ცენტრი, Théâtre de la Manufacturedidym.michel@gmail.com



## გთხოვთ გაითვალისწინოთ:

- გთხოვთ, გადმოიწეროთ ზიგმაგორას (Zigmagora) აპლიკაცია თქვენს პერსონალურ მოწყობილობაში App Store ან Google Play - დაწ.
- გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ თქვენს მოწყობილობას მიენოდება მაღალი ხარისხის ინტერნეტი ქალაქის ტურის განმავლობაში
- გთხოვთ, თან იქონიოთ თქვენი ყურსასმენები.





Written by Lasha Bugadze, Michel Didym, Serge Cohen, Marie Dilasser,  
Konstantin Küspert, Frédéric Sonntag

## STAGE YOUR CITY

Directed by Michel Didym  
App Design, Scenography, Media and Digital Technologies: Chris Ziegler  
Sound-Design: Damon Lee  
Artistic collaborators: Didier Billon, Jan Gerigk, Bernd Lintermann, Lasha Kvantaliani  
App Developers: Wandio Development Team  
Digital Dramaturgy: Jan Linders, Bruno Cohen, Nutsa Burjanadze, Sarah Stührenberg  
Technical Coordinator: Data Dvalishvili  
Creative Partner: ZKM / Center for Arts and Media, Karlsruhe  
Cast: Eka Nizharadze, Nika Tavadze, Valeri Korshia, Zaza Iakashvili  
Virtual Actors: Klaus Cofalka-Adami, Nato Kakhidze  
Duraiton: 90 minutes

### Technical Remarks:

- Please download app Zigmagora from your personal devices (APP Store, Google Play)
- Please ensure to have strong local mobile data, internet connection during the city walk
- Please bring personal headphones

Stage Your City is a project of the partner theatres Centre Dramatique National Nancy-Lorraine, Théâtre de la Manufacture (F), Badisches Staatstheater Karlsruhe (DE) and Kote Marjanishvili State Drama Theatre (GE), coproduced by the European Theatre Convention (ETC) as part of the European Theatre Lab: Drama goes digital. The European Theatre Lab is co-funded by the Creative Europe Programme of the EU.

### ABOUT PROJECT:

“Stage Your City” is merging the trends of digitisation and participatory theatre. It plays with augmented, mixed and virtual reality, 360° video, gaming elements and an app-guided audio walk. The participatory approach encourages the audience to co-create the way out of a dystopian fairy tale: In the future the city will be controlled by an artificial intelligence called Zigmagora. The participants are asked to explore their city interactively, focusing on topics like future health, security, identity – and love.

### ABOUT PERFORMANCE:

Zigmagora Is Calling. 2018 – Internet,

mobile and connected devices, geolocalisation: Technology creates new forms of interaction and new habits. We all experience this change, day by day. In view of the multiple disruptions in the world (economic crisis, climate change, migration and war), recently a new stage of industrialisation has unfolded, leading to a total encoding of the material and symbolic goods of human activities. This new data economy promises endless new possibilities and the reduction of global uncertainty. It establishes itself like a new Eldorado. It is dominated by the giants of information that we all know. 2052 – Coming from the future, four experts tell us about the future of mankind: A calm world under control. Human activity is efficiently managed by artificial intelligence called Zigmagora. The algorithmic rationality takes care of a pleasantly regulated and soothed social life. (Moreover, a general common narrative of human history has been imposed on everybody.)

But in this dystopian world, nothing works anymore. Apart from the speed of information transmission, the accumulation of data and the controlled city that has become perfectly safe, Zigmagora is

witness of a world without emotion and affect. Mission to us: recover lost emotions, values of brotherhood and traces of humanity. For this, everyone is invited to roam the city with his or her smart phone. The dilemmas are numerous. Since our emotions and feelings are linked to the choices we make in our relations to beings, things and places, will we be able to transform Zigmagora’s world, our future? And if so, in which manner?

### CONTACT INFORMATION:

Ekaterine Mazmishvili  
General Manager | Kote Marjanishvili State Drama Theatre  
eka@marjanishvili.com

Jan Linders  
Chefdramaturg | Badisches Staatstheater Karlsruhe  
jan.linders@staatstheater.karlsruhe.de

Michel Didym  
Artistic Director | Centre Dramatique National Nancy Lorrain, Théâtre de la Manufacture  
didym.michel@gmail.com



## თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

### თეატრის შესახებ:

თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის ისტორია 1934 წლიდან იწყება, როდესაც საქართველოს სახალხო არტისტმა – გიორგი მიქელაძემ გადაწყვიტა შემოეკრიბა თანამოაზრეები და ამ მნიშვნელოვან საქმეს შესჭიდებოდა.

თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერაა ჩვენს ქვეყანაში. თეატრი თავისი არსებობის განმავლობაში ბავშვების, მოზარდი თაობის ესთეტიკურად აღზრდაზე იყო ორიენტირებული. სადადგმო პოლიტიკის თვალსაზრისით, თეატრის რეპერტუარი მოიცავდა როგორც ცნობილ კლასიკურ საბავშვო ლიტერატურას, ასევე თანამედროვე უცხოურ და ქართულ საბავშვო დრამატურგიას. თანამედროვე კულტურული გამოწვევების ფონზე, თეატრი აგრძელებს ისტორიული გამოცდილების, ტრადიციული მხატვრული ფორმების შესაბამისი სპექტაკლების დადგმას და ასევე აქტიურად მიმართავს თანამედროვე თეატრალურ ექსპერიმენტებს. დღეისათვის თეატრის რეპერტუარში წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრისა და ესთეტიკის სპექტაკლებიც, რომელიც გათვალისწინებულია როგორც მოზარდი, ისე უფროსი თაობის მსურველთათვის.

## TBILISI STATE PUPPET THEATRE

### ABOUT THEATRE:

Giorgi Mikeladze Tbilisi professional State Puppettheater is the important cultural-educational foundation in our country. On the way of his historical development theater was always focused on the esthetic education of children and adolescents. In terms of its repertory policy theatre presents Georgian modern and international plays alongside with classics of world children's literature. Together with cultural challenges for theatre today, it continues with the historical experience of traditional forms of theatre making as well as modern theatrical experiments.

Today theatre program is represented in different genres suitable for both kids and adult audiences.



# ნიკოლოზ გოგოლი შინელი

რეჟისორი – ნიკოლოზ საბაშვილი  
სცენოგრაფია ბარბარა ასლამაზიშვილის  
მუსიკალური გაფორმება თამაზ იმნაძის  
რეჟისორის თანაშემწე – თამარ მედოევა

ხანგრძლივობა: 80 წუთი, შესვენების გარეშე  
საგასტროლოჯგუფი: 20 ადამიანი

პრემიერა შედგება თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების ფარგლებში

მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, მანანა წიკლაური, თეა კინმარიშვილი, ნათია შუშაბერიძე, მაია მალხაზიშვილი, გიორგი მეძმარიაშვილი, ნინო ნატროშვილი, მარიკა ძაგანია-ბიჭიაშვილი, მაია სულხანიშვილი, თამთა ბაქრაძე, თათია ბაქრაძე, ნათია ხმიადაშვილი, ნინო პაპიაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, ირინე კუკულაძე, დავით ბეკოშვილი, რომან ქერქაძე, დავით ბერიძე

## წარმოდგენის შესახებ:

გოგოლის ცნობილი ნაწარმოების თანამედროვე ქართული თეატრალური ინტერპრეტაცია... ახალი მხატვრული კონცეფცია და თოჯინებით გაცოცხლებული კლასიკური პერსონაჟები. რეჟისორი არ ერიდება ავტორისეულ ლიტერატურულ პირველწყაროში აქტიურ ჩარევას, რაც ტექსტის მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობს და ძირითადი აქცენტი ქმედით, გამომსახველობით საშუალებებზეა გადატანილი. ვხვდებით პერსონაჟებს გოგოლის სხვა ნაწარმოებებიდანაც („ცხვირი“, „შეშლილის წერილები“). მიზანსცენათა მონაცვლეობა ავტორისეული თხრობის ლოგიკას მიყვება. მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, მინიმალური თეატრალური პირობითობის ფონზე, მთელი წარმოდგენა ზედმიწევნით რეალისტურ-მხატვრული ფორმითაა გადაწყვეტილი. მოქმედ პირთა უმრავლესობა თოჯინების სახით არიან წარმოდგენილნი, თუმცა სპექტაკლში ვხვდებით რეალურ, „ცოცხალ“ პერსონაჟებსაც. მთელი წარმოდგენა ექსპერიმენტული ხასიათისაა, რაც, უპირველესად, თოჯინების

მხატვრული აგებულების ტრადიციული სტილის რღვევაში გამოიხატება. კონკრეტული დეტალებისა და საგნების ერთობლიობით იქმნება პერსონაჟი, რაც თითოეული მსახიობისაგან განსაკუთრებულ ძალისხმევასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს.

## საკონტაქტო ინფორმაცია:

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:  
ნიკოლოზ საბაშვილი  
საკონტაქტო პირი:  
სალომე ბერიკაშვილი  
ტელ: (+995) 551 58 94 97;  
(032) 2 95 66 04, (032) 2 95 28 20



# Nikolay Gogol OVERCOAT

Director: Nikoloz Sabashvili  
Scenography by Barbara Aslamazishvili  
Musical adaptation by Tamaz Imnadze  
Assistant to director: Tamar Medoeva

Duration: 80 minutes, without intermission  
The tour group: 20 persons

The Cast: Malkhaz Gabunia; Manana Tsiklauri, Tea Kitsmarishvili, Natis Sheshaberidze; Maia Malkhazishvili, George Medzbariashvili, Nino Natroshvili, Marika Dzagania- Bichiashvili; Maia Sulxhanishvili, Tamta Baqradze; Tatia Baqradze, Natia Khmiadashvili, Nino Papiashvili; Vakhtang Chelidze, Irine Kukuladze; Davit Bekoshvili, Roman Qerqadze; Davit Beridze

## ABOUT PERFORMANCE:

Georgian interpretation of known work by Gogol...new artistic conception and classic characters reliven in puppetry. The director mixes familiar into the original source, what the minimization of text means and the main emphasis is on the nonverbal presentation gesture. Here we also meet the characters from other works by Gogol (Nase, Diary of a Madman). The naration (acting) is depended on the telling art of the author. In terms of artistic style, the whole performance is in realistical art focused. The majority of characters are puppets, although we also meet the live plan acting. Thewhole performance is experimental, this can we notice in the artistry design of puppets in traditional style. From concrete details and things a character is produced, this requires a tremendous professionalism and must be done by the actors.

## CONTACT INFORMATION:

Theater art director: Nikoloz Sabashvili  
Contact person: Salome Berikashvili  
Tel: (+995) 551 58 94 97;  
(032) 2 95 66 04, (032) 2 95 28 20





## თითების თეატრი

თეატრის შესახებ:

1991 წელს ბათუმში, „მსახიობის სახლში“ შედგა მოზარდთა თეატრ-სტუდიის „99+2“ პრეზენტაცია წარმოდგენით „ექსტრავაგანსა“. სპექტაკლი წარმოდგენილი იყო კოსტიუმირებული თითების საშუალებით, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე თავისი ორიგინალურობით. სწორედ ამიტომ თეატრი-სტუდია „თითების თეატრად“ მოინათლა და, მიუხედავად შემდგომში განხორციელებული სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების წარმოდგენებისა, დღემდე ამ სახელს ატარებს. 2006 წლის 6 თებერვალს გაიმართა „თითების თეატრის“ ოფიციალური პრეზენტაცია თბილისში. 2007 წლიდან დღემდე „თითების თეატრი“ წარმოდგენებს მართავს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

